საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „გლობალ რისაიქლინგი“ ქ. ქუთაისში ჰუალინგის ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე (ყოფილი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტერიტორია) გეგმავს ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (ნარჩენების აღდგენა, გარდა სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სამრეწველო ზონას, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის სამრეწველო საწარმოები და მაღალია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე (მავნე ნივთიერებათა და ხმაურის გავრცელება) კუმულაციური ზემოქმედების რისკები, კოდექსის მე-7 მუხლის მე 13-ე ნაწილის შესაბამისად მომზადებული იქნა დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას .

წერილს თან ერთვის:

- შპს „გლობალ რისაიქლინგი“-ს ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „გლობალ რისაიქლინგი“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

ირაკლი ლიჩელი _____

შპს „გლობალ რისაიქლინგი“-ს წარმომადგენელი

01.04.2020 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5697
„06“ 04 2020
02